<u>როლური თამაში</u>

ავტორი: ნინო გვარამაძე

როლური თამაში აქტივობაა, რომლის გამოყენება საშუალებას იძლევა დაანახოს მოსწავლეს სიტუაცია სხვა ადამიანის გადმოსახედიდან, ნათლად წარმოიდგინოს თავი სხვის ადგილზე. გარდა ამისა, დაინახოს სხვისი პოზიციები მოცემულ სიტუაციაში. მასწავლებელი მიმართავს როლურ თამაშს რაღაც კონკრეტული საკითხის სწავლებისას. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ დაინახონ რა პრობლემები ახლავს ამა თუ იმ საქმის განხორციელებას.

1. როლური თამაშის მომზადებისას აუცილებელია, მასწავლებელს მკაფიოდ ჰქონდეს წარმოდგენილი თამაშის **მიზანი**. ამ მიზანს მასწავლებელი უბრუნდება როლური თამაშის ყველა კომპონენტის შემუშავებისას და უსვამს თავს კითხვას: ემსახურება თუ არა ესა თუ ის ნაბიჯი მიზნის მიღწევას?

2. მიზნის განსაზღვრის შემდეგ მასწავლებელი ქმნის თამაშის მთელ შინაარსს. მასში უნდა შედიოდეს:
   - ინფორმაცია იმ გარემოს შესახებ სადაც ხდება მოქმედება (ისტორია, მდებარეობა);
   - მიმდინარე მოვლენები;
   - ამოცანები;
   - შედეგი (იგულისხმება რაიმე შედეგი და არა კონკრეტული შედეგი)
3. აუცილებელია მოქმედებათა მიმდევრობის და დროის განსაზღვრა, რათა არ მოხდეს არეულობა თამაშის დროს.
4. მასწავლებელმა უნდა შეადგინოს მოქმედ პირთა სია.

5. თითოეული მონაწილისთვის მასწავლებელმა უნდა შეადგინოს ფურცელი „ვინ ხარ შენ?“ როლური თამაში არ ნიშნავს მოსწავლეებისთვის მკაცრად გაწერილი ქმედებების და სიტყვების მიწოდებას, არც მხოლოდ როლის მიკუთვნებას და შემდეგ მოსწავლეზე მინდობას. თითოეულმა მონაწილემ უნდა იცოდეს რას წარმოადგენს მისი პერსონაჟი. ფურცელზე უნდა იყოს ინფორმაცია პერსონაჟის ასაკის, სქესის, განათლების, ზოგადი ინტერესების და მოცემულ სიტუაციაში მისი პოზიციისა და ინტერესების შესახებ. პერსონაჟი უნდა მოქმედებდეს ამ მოცემულობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მისი მოქმედება სხვა მონაწილეების ქმედებითაც არის განპირობებული, რომლებსაც, თავის მხრივ, საკუთარი პოზიცია აქვს მიკუთვნებული.

   მონაწილეს, გარდა ოფიციალური პოზიციისა, შეიძლება ჰქონდეს ფარული ინტერესი და ამასაც ითვალისწინებდეს ქმედებისას. მოსწავლე მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან და სხვისი ქმედებიდან გამომდინარე. ამ მოქმედებას მას არავინ არ დაუწერს. ამ ნაწილში ის დამოუკიდებელია.

6. როლური თამაში მოიცავს 3 ეტაპს: მოსამზადებელს (აქ არ ვგულისხმობთ იმას, თუ როგორ ამზადებს მასწავლებელი მასალას, იგულისხმება მოსამზადებელი ეტაპი მოსწავლეებთან), უშუალოდ თამაშის და შეფასების. ამიტომ, მაწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს გაწერილი სამივე ეტაპი.

6.1 მოსამზადებელ ეტაპზე:

- მასწავლებელი ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას მოცემული საკითხის ირგვლივ. მასწავლებელი რწმუნდება იმაში, რომ ყველა ტერმინი ან ორგანიზაცია, რომელიც შეხვდებათ თამაშის დროს, მათთვის ცნობილი და გასაგებია.
- მასწავლებლი უხსნის მათ როლური თამაშის არსს;
- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მიზანს. ამით მასწავლებელი აარიდებს მოსწავლეებს ფუჭ ქმედებებს და მოახდენს მათი ყურადღების კონცენტრაციას მთავარზე. მიზანს მოსწავლეები ეცნობიან თამაშის შეთავაზებისთანავე.
- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თამაშის პირობებს;
- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თამაშის შინაარსს;
- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მოქმედ პირებს;
- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ქმედებათა თანმიმდევრობას და თითოეული ეტაპის არსს.
- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თამაშის პირობებს: არ შეიძლება თვითნებურად როლების გაცვლა; არც ერთი მონაწილე არ აცნობს სხვას საკუთარ ფურცელს „ვინ ხარ შენ?“. კამათი არ უნდა გადაიზარდოს ფიზიკურ დაპირისპირებაში.

- მასწავლებელი არიგებს დასარიგებელ მასალას. როლის არჩევა ხდება შემთხვევითობის პრინციპით. მოქმედებათა თანმიმდევრობა და ეტაპების აღწერა ურიგდება ყველა მონაწილეს.
- მოსწავლეები ეცნობიან დარიგებულ მასალას;
- მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს როლში შესვლაში.

6.2 თამაშის ეტაპზე მასწავლებლის როლი მინიმალურია. ის აკვირდება მიმდინარეობას, აანალიზებს თამაშს. ერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხედავს, რომ მოსწავლე პასიურობს. უსვამს მას კითხვებს გააქტიურების მიზნით.

ბოლოს გამოყავს მოასწავლეები როლიდან.

6.3 შეფასების ეტაპზე გამოიყენება კითხვები:

- მივაღწიეთ თუ არა მიზანს?
- რას ვგრძნობდით თამაშის დროს?
- გვეხმარებოდა თუ გვიშლიდა ემოცია თამაშში?
- რა მოხდებოდა სხვანაირად რომ ეთამაშა ვინმეს?

ქვემოთ აღწერილია როლური თამაში კონკრეტულ მაგალითზე.

თემატური ბლოკი - ინდივიდი და საზოგადოება

საკითხი - ადრეულ ასაკში ქორწინება

აქტივობის მიზანი - მოსწავლეებმა დაინახონ პრობლემის გადაჭრის სირთულე და შეძლონ ყველა იმ მიზეზის გააზრება, რომლის გამოც იკრძალება ნაადრევი ქორწინება

ცოდნა - მოსწავლეებმა იციან რა უფლებები ირღვევა ნაადრევი ქორწინებისას, რა ზიანი მოაქვს მას ჯანმრთელობისთვის, რა სამართლებრივი დოკუმენტები არეგულირებს ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხს.

უნარი - მსჯელობის, კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, დისკუსიის.

ჩვევა - კანონმდებლობის მოხმობის და მის საფუძველზე მსჯელობის აგება

წინარე ცოდნა - მოსწავლე იცნობს ბავშვის უფლებებს, ადამიანის განვითარების ეტაპებს. საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც შესაბამის საკითხებს ეხება.

ეს თამაში მასწავლებელს შეუძლია გადაანაწილოს 2 გაკვეთილზე. პირველ გაკვეთილზე ჩაატაროს მოსამზადებელი ეტაპი, ხოლო მეორეზე - თვით თამაში და შეფასება. პირველ გაკვეთილამდე მასწავლებელმა უნდა მოამზადოს ყველა რესურსი და მოემზადოს თვითონ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს სასწავლო მიზანი (იხ.ზემოთ). შემდეგ უნდა მომზადდეს ყველა რესურსი. უმჯობესია, ყველა გეოგრაფიული სახელი იყოს გამოგონილი და პერსონაჟებს ერქვათ სახელები, რომლებიც სხვადასხვა კულტურაში გამოიყენება, რათა არ მოხდეს მათ ეთნიკური ან რელიგიური მიკუთვნებულობის ხაზგასმა.

რესურსები:

თამაშის შინაარსი (უნდა ამოიბეჭდოს ყველა მოსწავლისთვის სათითაოდ):

1. ***მოქმედების ადგილი:***

ქვეყანა - ანაეთი

სოფელი - ბანერი

მოსახლეობის რაოდენობა - 3000 ადამიანი.

2. ***ისტორია:***

სოფელი მთის ფერდობზეა გაშენებული. მისი ბუნება მკაცრია, მაგრამ ლამაზი. ქვეყნის დედაქალაქიდან 90 კილომეტრით არის დაშორებული. სოფელში, ძველი ტრადიციის შესაბამისად, გოგონებს 13 წლიდან ათხოვებდნენ. თუმცა დროთა განმავლობაში ასეთმა შემთხვევებმა იკლო.

3. ***მიმდინარე მოვლენები*** (იბეჭდება ყველა მონაწილისთვის სათითაოდ).

სოფელში არის სკოლა. სოფლის ახალგაზრდები ცდილობენ იზრუნონ მომავალზე. ნაწილი მიდის სოფლიდან და აგრძელებს სწავლას პროფესიულ კოლეჯში ან უმაღლეს სასწავლებელში, ნაწილი რჩება და ეხმარება მშობლებს სოფლის მეურნეობაში. ზოგიერთი მათგანი ცდილობს სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მეთოდები დანერგოს. ახალგაზრდების ნაწილი კი მიდის სოფლიდან და სხვაგან ეძებს სამუშაოს.

ალექსანდრა მე-8 კლასში სწავლობს. მშობლებმა გადაწყვიტეს ალექსნდრა გაათხოვონ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ. ალექსანდრა შეშინებულია. მას არ უნდა გათხოვება. ის კარგად სწავლობს და სხვა ინტერესებიც გააჩნია. მან ყველაფერი უამბო თანაკლასელ ნატალიას. ამ უკანასკნელმა ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა ეს ამბავი კლასის დამრიგებლისთვის გაენდო. მან თავის მხრივ აცნობა ეს სკოლის დირექტორს.

4. ***ამოცანა***

   მშობელი გაეცნოს ყველა იმ მიზეზს, რომლის გამოც იკრძალება ადრეულ ასაკში ქორწინება .

5. ***გადაწყვეტილება*** *მიღებულ* იქნას დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრაზე.
6. ***გაანალიზდეს შეხვედრა***
7. ***დაისახოს სამომავლო სამუშაოები***

მოქმედებები და დრო (იბეჭდება მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით).

1. შეხვედრამდე იმ პირების გაცნობა, რომლებიც სავარაუდოდ თქვენს პოზიციას იზიარებენ. მოლაპარაკებები მათთან. (5 წუთი)
2. შეხვედრის გახსნა. (2 წუთი)
3. შეხვედრის მიმდინარეობა. (15 წუთი)
4. შეხვედრის დასასრული (1 წუთი)
5. ანალიტიკური ჯგუფის მიერ შედეგების შეჯერება. (5 წუთი)
6. ანალიტიკური ჯგუფის მიერ შედეგების წარმოდგენა შეხვედრაზე(5 წუთი)
7. მომავალი სამუშაოს დაგეგმვა (5 წუთი)
8. მომავალი სამუშაოს გეგმის წარდგენა
9. დასასრული

მონაწილეთა ჩამონათვალი (იბეჭდება მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით).

1. ალექსანდრას დედა - ქალბატონი მარიამი;
2. ალექსანდრას მამა - ბატონი იაკობი;
3. კლასის დამრიგებელი - ბატონი ალექსი;
4. სკოლის დირექტორი - ქალბატონი სოფიო;

5. სკოლის ექიმი - ქალბატონი ანა
6. სოციალური მუშაკი - ბატონი იოსები
7. რესურს ცენტრის წარმომადგენელი - ქალბატონი ელისაბედი
8. ჭადრაკის მასწავლებელი - ბატონი ნიკოლოზი
9. მომავალი სამუშაოების დამგეგმავი ჯგუფი.
10. ანალიტიკოსების ჯგუფი.

სამკერდე ნიშნები მონაწილეებისთვის; (იბეჭდება მონაწილეზე თითო) მაგალითად,

მარიამი **ალექსანდრას დედა**

ვინ ხარ შენ? თითოეული მონაწილისთვის თავისი.

ვინ ხარ შენ? ალექსანდრას დედა - მარიამი.

შენც სოფელ ბანერში დაიბადე. 13 წლის იყავი როცა გაგათხოვეს. არც კი იცნობდი იაკობს მანამდე. ერთხელ გყავდა ნანახი. სკოლაში სწავლას თავი დაანებე და ბედს დაემორჩილე. შენ გახსოვს შენი განცდები. შინაგანად ალექსანდრას მხარეზე ხარ, მაგრამ ქმრის წინააღმდეგ ვერ მიდიხარ. ამჟამად 30 წლის ხარ. ხშირად გიოცნებია, რომ შენი შვილები განათლებას მიიღებდნენ და წარმატებას მიაღწევდნენ. შენ მოხვედი შეხვედრაზე და ძალიან ნერვიულობ.

ვინ ხარ შენ? ალექსანდრას მამა - იაკობი

შენ 43 წლის ხარ. შენც 13 წლის გოგო შეირთე ცოლად წლების წინ. 1-2 ჯერ გყავდა მანამდე ნანახი. შენ დარწმუნებული ხარ, რომ ოჯახში შენი სიტყვა კანონი უნდა იყოს. ასეც არის, ყველა წევრი შენ გემორჩილება. შენ მიგაჩნია, რომ ქალს სწავლა არ სჭირდება, მან ქმარს და შვილებს უნდა მოუაროს, ქმარმა უნდა ოჯახი არჩინოს. თუ შესაფერისი საქმრო გამოჩნდა, გოგონა უნდა გათხოვდეს. ალექსანდრას საქმრო მდიდარია და ამიტომაც გინდა, რომ ალექსანდრა შეირთოს ცოლად. შენ დამთავრებული გაქვს სკოლა. შენ არ გინდოდა ამ შეხვედრაზე მოსვლა, რადგან ხვდები, რომ შენთვის არ იქნება ეს შეხვედრა სსასიამოვნო. შენ გაბრაზებული ხარ.

ვინ ხარ შენ? კლასის დამრიგებელი - ალექსი;

შენ ხარ ალექსანდრას კლასის დამრიგებელი. ამავე დროს მშობლიურ ლიტერატურასაც ასწავლი. მიგაჩნია, რომ საბაზო განათლება (9 კლასი) ყველასთვის აუცილებელია. შენ თვითონ ნაკითხი და განათლებული ხარ. კარგად ხედავ იმ საფრთხეს, რომ ალექსანდრა, რომელიც ახლა კარგად სწავლობს, სკოლას თავს დაანებებს. შენ კარგი ურთიერთობა გაქვს მოსწავლეებთან. ხშირად გისაუბრია ალექსანდრასთან და იცი, რომ ის ფიქრობდა სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიეღო და იურისტი გამხდარიყო. შენ ხარ 50 წლის.

ვინ ხარ შენ? სკოლის დირექტორი - სოფიო

შენ იმ სკოლის დირექტორი ხარ, სადაც ალექსანდრა სწავლობს. ბოლომდე გაქვს გაცნობიერებული ის საფრთხე, რაც გოგონას ემუქრება: განათლების უფლების შეზღუდვა, ჯანმრთელობის პრობლემები, სულიერი ტრავმა, ეკონომიკური დამოკიდებულება მეუღლეზე, შესაძლო ძალადობა. შენ გინდა დაეხმარო ალექსანდრას, მაგრამ გირჩევნია ეს სხვისი ხელით გააკეთო, რადგან ალექსანდრას მამა შენი ნათესავია და არ გინდა მასთან ურთიერთობის გაფუჭება. შეხვედრაზე მოიწვიე ყველა, ვისაც, შენი აზრით, შეუძლია არგუმენტირებულად დაუსაბუთოს ალექსანდრას მშობლებს მათი გადაწყვეტილების მავნებლობა. შენ ხარ შეხვედრის წარმმართველიც. შენ ხარ 35 წლის.

ვინ ხარ შენ? სკოლის ექიმი - ანა

შენ სკოლის ექიმი ხარ და გიყვარს შენი პროფესია. არაერთხელ აღმოგიჩენია დახმარება ბავშვებისათვის და გიყვარს შენი სკოლის მოსწავლეები. მოწვეული ხარ შეხვედრაზე მშობლებისთვის ჯანმრთელობისთვის არსებული საფრთხეების გასაცნობად, რომლებიც თან სდევს ადრეულ ასაკში ქორწინებას. ალექსანდრა გარდატეხის ასაკშია. მისი ორგანიზმი არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. ორსულობამ, შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიაყენოს მას.

ვინ ხარ შენ? სოციალური მუშაკი - იოსები

შენ ხარ სოციალური მუშაკი სოციალური დაცვის სააგენტოდან. კანონით შენ გევალება ბავშვის დაცვა ძალადობისგან. შენ იცი თუ რა უფლებები ირღვევა ამ შემთხვევაში და რა უფლებების დარღვევა მოყვება ამ ქორწინებას მომავალში. შენ იცნობ კანონმდებლობას. ხარ 30 წლის. პირველად გაქვს შეხება მოცემულ სკოლასთან.

ვინ ხარ შენ? რესურს ცენტრის წარმომადგენელი - ელისაბედი

შენ მუშაობ განათლების რესურს ცენტრში. სრულად იზიარებ ადრეულ ასაკში ქორწინების დაუშვებლობის იდეას. იცნობ კანონმდებლობას. ამავე დროს, პირადი დაპირისპირება გაქვს დირექტორთან და გინდა შექმნილი ვითარება დირექტორის არასათანადო მუშაობით ახსნა. ისიც იცი, რომ დირექტორი იაკობის ნათესავია. ხარ 40 წლის.

ვინ ხარ შენ? ჭადრაკის მასწავლებელი - ნიკოლოზი

შენ შენი კარიერის მანძილზე სერიზულ წარმატებებს მიაღწიე ჭადრაკში. გამოზრდილი გყავს არაერთი ცნობილი მოჭადრეკე. ახლა უძღვები ჭადრაკის სექციას სკოლაში. ალექსანდრა დადის ჭადრაკზე. ის ნიჭიერი და იმედის მომცემი ბავშვია და უკვე მიაღწია წარმატებებს რეგიონის მასშტაბით. ალექსანდრას ძალიან უყვარს ჭადრაკი. შენ მიგაჩნია, რომ მან უნდა გააგრძელოს ვარჯიში და მას წარმატება ელოდება. შენ ხარ 65 წლის.

ანალიტიკოსებისა და მომავალი სამუშაოების დამგეგმავ ჯგუფში შედიან ის მონაწილეები, რომლებსაც არ აქვთ სხვა როლები.

ანალიტიკოსების ჯგუფი

თქვენ ყურს უგდებთ შეხვედრის მონაწილეებს, აკეთებთ ჩანაწერებს ფურცელზე და შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ალექსანდრას მშობლების გარეშე, იკრიბებით დანარჩენ მონაწილეებთან ერთად და აცნობთ თქვენს მოსაზრებებს მონაწილეებს. რა გაკეთდა სწორად და რა შეიძლება გაკეთებულიყო სხვანაირად? რომელი მონაწილის მოქმედებას შეცვლიდით?

მომავალი სამუშაოს დამგეგმავი ჯგუფი

თქვენ ესწრებით ძირითად შეხვედრას. შემდეგ ისმენთ ანალიტიკური ჯგუფის წევრების დასკვნას. მოილაპარაკებთ სამომავლო გეგმებზე და გააცნობთ მათ შეხვედრის მონაწილეებს.

გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა მოამზადოს დასარიგებელი მასალა მონაწილეებისათვის როლის მიხედვით.

1. ბავშვის უფლებათა კონვენციის შემოკლებული ვერსია (3 ცალი. სკოლის დირექტორისთვის, სოციალური მუშაკისთვის, რესურს ცენტრის წარმომადგენლისთვის.) (დავამატებ ნ.გ.)

2. მოკლე მიმოხილვა ჯანმრთელობის საფრთხეების შესახებ (1 ცალი. ექიმისთვის). (დავამატებ ნ.გ.)
3. ამონარიდი კანონიდან არასრულწლოვანთა ქორწინების რეგისტრაციის შესახებ. (2 ცალი. სოციალური მუშაკისთვის, რესურს ცენრის წარმომადგენლისთვის), (დავამატებ ნ.გ.)

პირველი გაკვეთილის ჩატარებამდე მასწავლებელმა სრულად უნდა გაიაზროს მოსამზადებელი ეტაპი.

პირველი გაკვეთილი

ნაბიჯი 1

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მომდევნო გაკვეთილზე ჩასატარებელი აქტივობებისთვის აუცილებელია, ყველამ იცოდეს გარკვეული საკითხები. ამიტომ, ყველა გაუგებარი საკითხი უნდა გაირკვეს დღეს.

ნაბიჯი 2

მასწავლებელი ატარებს გონებრივ იერიშს. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ყველაფერი, რაც ახსენდებათ ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით და წერს დაფაზე ყველა პასუხს. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს ისაუბრონ კონკრეტული საკითხების ირგვლივ. ეს საკითხები მათ როლურ თამაშში შეხვდებათ. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი თვითონ წამოწევს ამა თუ იმ საკითხს. ამგვარად ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება და იმ საკითხების განმარტება, რაც მათ შეხვდებათ თამაშის შინაარსიდან გამომდინარე.

ნაბიჯი 3

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ შემდეგ გაკვეთილზე მათ ექნებათ როლური თამაში. ეს თამაში ტარდება იმისათვის , რომ მათ დაინახონ პრობლემის გადაჭრის სირთულე და შეძლონ ყველა იმ მიზეზის გააზრება, რომლის გამოც იკრძალება ნაადრევი ქორწინება. ისინი განიხილავენ კონკრეტულ სიტუაციაში შექმნილ პრობლემას და შეეცდებიან მის გადაჭრას. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თამაშის მიზანს.

ნაბიჯი 4

მასწავლებელი აკეთებს შინაარსის პრეზენტაციას და ურიგებს მოსწავლეებს ამობეჭდილ შინაარსს. პრეზენტაციის ფორმას მასწავლებელი თვითონ შეარჩევს.

ნაბიჯი 5

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მოქმედ პირებს და ურიგებს მათ ჩამონათვალს.

ნაბიჯი 6

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მიმდინარეობას და ურიგებს მათ მოქმედებებისა და დროის ფურცელს.

ნაბიჯი 7

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათ უნდა გააცნობიერონ ვის ასახიერებენ. ისინი უნდა დაეყრდნონ თამაშის შინაარსს, ფურცელს „ვინ ხარ შენ?“ გარდა ამისა, რეაგირება მოახდინონ სხვის თამაშზე და ნათქვამზე.

ნაბიჯი 8

მასწავლებელი მკაცრად განსაზღვრავს პირობას: როლების გაცვლა არ შეიძლება. როლის გაცნობა სხვა მონაწილისთვის არ შეიძლება. მასწავლებელი შემთხვევით არჩევის პრინციპით ურიგებს ფურცლებს „ვინ ხარ შენ?“ . შესაძლოა, ქალის როლი ვაჟს შეხვდეს. ეს არ არის პრობლემა. წარმოიდგინოს მან თავი ქალის ადგილზე.

ნაბიჯი 9

მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას. გაეცნონ დარიგებულ მასალას და იფიქრონ თავის როლზე.

მეორე გაკვეთილი

ნაბიჯი 10

მასწავლებელი ახსენებს დაგეგმილ აქტივობას და კითხულობს მოემზადნენ თუ არა მოსწავლეები შინ.

ნაბიჯი 11

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს. ახლა თქვენ შედიხართ თქვენი პერსონაჟის როლში, გაიკეთეთ სამკერდე ნიშნები და რიგ-რიგობით თქვით: მე ვარ მარიამი - ალექსანდრას დედა, მე ვარ ალექსი - ალექსანდრას კლასის დამრიგებელი და ა.შ.

მასწავლებელი ეუბნება, რომ ახლა იწყება თამაში.

ნაბიჯი 12

ეს არის თამაშის ეტაპი, რომელიც მიმდინარეობს შეთანხმებული თანმიმდევრობით. მასწავლებელი ერევა მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში.

ნაბიჯი 13

თამაშის დასრულებისთანავე მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ახლა ისინი გამოდიან როლებიდან და უბრუნდებიან რეალობას.

შესაძლოა ორნაირი დასასრული: მშობლები დარწმუნებული დარჩნენ საკუთარი აზრის სისწორეში, ან მშობლები დარწმუნდნენ დანარჩენების სისწორეში და შეცვალონ გადაწყვეტილება.

ნაბიჯი 14

თამაშის დამთავრების შემდეგ ყველა მოსწავლე იკრიბება და აფასებს თამაშს. ამისთვის გამოიყენება კითხვები:

- მივაღწიეთ თუ არა მიზანს?
- რას გრძნობდით თამაშის დროს?
- იმოქმედა თუ არა თქვენმა ემოციამ შედეგზე?
- სხვა შედეგი რომ მიგეღოთ რა განწყობა დაგეუფლებოდათ?

ნაბიჯი 15

მასწავლებელი მადლობას უხდის მოსწავლეებს.